ხუთშაბათი,
22 მარტი, 1956 წ.
№ 24 (1312)
ფასი 10 კაპ.

პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კოლექტიური შრომა

საქართველოს კ კ
მესტიის რაიკომისა და
მესტიის რაიონის
მუშათა დეპუტატების
საბჭოს ორგანო

საჯარო ბიბლიოთეკა

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი — მასებში!

მთელი საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალები მხურვალე მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ყრილობის გადაწყვეტილებებით ჩვენს ქვეყანაში დასახულია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ახალი დიადი ამოცანები, ახალი შესანიშნავი პერსპექტივები. ამ გადაწყვეტილებებში მოცემულია თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური პარტიის მთავარი, უმნიშვნელოვანესი ამოცანები, ხალხთა შორის მშვიდობის გახმტკიცების ნათელი გზები.

ამიტომ ბუნებრივია, მთელი საბჭოთა ხალხი, სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის თვითეული მშრომელი, მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა დიდი ინტერესით ეცნობიან ყრილობის მასალებს.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მესტიის რაიონის მშრომელებმა ყრილობის გადაწყვეტილებები ხალხმრავალ მიტინგებზე უდიდესი აღფრთოვანებით მოიწონეს და ახალი გადიდებული ვალდებულებები აიღეს. ისინი მაღალი საწარმოო და პოლიტიკური აქტივობით უპასუხებენ ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ყრილობის მასალების გამოქვეყნებისთანავე რაიონის პარტიული ორგანიზაცია შეუდგა ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდას მშრომელებში. ამ საპატიო ამოცანას ემსახურება 300-ზე მეტი აგიტატორი, ლექტორი, პოლიტიკური მოამხსენებელი და პროპაგანდისტი.

ამ სახალხო საქმის მსვლელობაში უნდა გვახსოვდეს, რომ ყრილობის გადაწყვეტილებათა განმარტება, მათი ფართო პროპაგანდა მასებში—ეს არ არის მოკლევადიანი კამპანია, არამედ უმნიშვნელოვანესი, უმთავრესი შემადგენელი ნაწილია მთელი ჩვენი საგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობისა უახლოეს პერიოდში. საჭიროა ახალი ხუთწლიანი გეგმის პროპაგანდის, გაცნობის დროს გულდასმით განემარტოთ მშრომელებს, რომ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის განხორციელება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ მიმდინარე სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების გზით. ამიტომ პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო უკეთ უნდა ხელმძღვანელობდნენ მასების სოციალისტურ შეჯიბრებას როგორც წლიური, ასევე კვარტალური, თვიური და ყოველდღიური გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

ყრილობის მასალების უკეთ პროპაგანდისათვის მთელ საგიტაციო მუშაობასთან ერთად პარტიულმა ორგანიზაციებმა მშრომელთათვის სისტემატურად უნდა მოაწყონ ლექციები, მოხსენებები და საუბრები იმ ანგარიშით, რომ პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი დავიყვანოთ თვითეული მშრომელის გაგებამდე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი — მასებში! მთელი საგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობა ახლა მხოლოდ ამ ქვეყენ უნდა იქნას მიმართული.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით განსაზღვრულია ხუთწლედის მანძილზე ნაციონალური შემოსავლის ზრდა (შესაბამის ფასებში) 60 პროცენტით, მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასის ამაღლება საშუალოდ 30 პროცენტით და კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავლების გადიდება საშუალოდ არანაკლებ 40 პროცენტისა.

საკდესის ფოტოქრონიკა.

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად

★ ★

ნაკისრ ვალდებულებას ანაღდებენ

მშობლიური კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებენ სოფელ ლენჯერის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადები.

აქ კარგად არის მოწესრიგებული საგაზაფხულო თესვისათვის სამზადისი სამუშაოები, განმტკიცებულია დისციპლინა, კოლმეურნეები ყოველდღიურად აძლიერებენ მუშაობის ტემპს. კარგმა შრომამ კარგი შედეგი გამოიღო. წესრიგშია მოყვანილი 69 ცალი გუთანი და სხვა ინვენტარი. სათესლე მასალის კონდიციამდე აყვანა 10 მარტისათვის მთლიანად დამთავრებული იყო. დიდი ყურადღება ექცევა მინდვრად ორგანული სასუქის გატანას, რაც უკვე დასასრულს უახლოვდება.

ლენჯერელი კოლმეურნეები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მაღალხარისხოვნად და აგროტექნიკურ ვადებში დაამთავრონ თესვა, მიაღწიონ მოსავლიანობის მკვეთრ გადიდებას.

ამთავრებენ თესვისათვის მზადებას

სოფელ კალის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა კარგად ემზადება საგაზაფხულო თესვისათვის. გარემონტებულია და მზადყოფნაშია კოლმეურნეობაში არსებული ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. საგაზაფხულო კულტურების — გაზაფხულის ხორბლის, ქერის და კარტოფილის თესლები გარჩეული და სრულ კონდიციამდეა აყვანილი. დაკომპლექტებულია ბრიგადები და რგოლები, შედგენილია მათი საწარმოო გეგმები. ამ დღეებში დაამთავრებენ მინდვრად ორგანული სასუქის გატანას.

კალელი კოლმეურნეები პირობას იძლევიან, რომ 1956 წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის ენერგიის დაუზოგავად იმუშავებენ და კოლმეურნეობის წინაშე მდგომ ყველა ვალდებულებებს გადაჭარბებით შეასრულებენ.

ნაკის მეცხოველეთა სიზყვა და საქმე

ნაკის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მუშაკები თავდადებით იბრძვიან პირუტყვის კარგად გამოზამთრებისა და ნამატის მთლიანად შენარჩუნებისათვის. დიდი მზრუნველობის შედეგად მიღებული 69 სული ხბო ჯანსაღ მდგომარეობაშია და დღემდე ნამატის დაკარგვის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. უახლოეს დღეებში კიდევ 35 სულ ხბოს მიიღებენ. ნამატი უზრუნველყოფილია თბილი და სანდ თლიანი ბინით და სათანადო მოვლა-პატრონობით.

მწველავებიდან გულისხმიერი მუშაობით გამოირჩევიან და სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებენ სუბელიანი ვარდო, გვარმიანი ნუნუ, სუბელიანი ეთერი, ციხდელიანი ვარდო, სუბელიანი ჯაჯა და სხვები, რომლებიც მათზე გაპიროვნებულ ხბოებს სანიმუშოდ და თვალისჩინიერად ზრდიან.

მომზადებული შევხვდეთ საგაზაფხულო თესვას

ახლოვდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მეტად საპასუხისმგებლო პერიოდი — საგაზაფხულო თესვა. მისი ხარისხოვნად და მჭიდრო აგროტექნიკურ ვადებში ჩატარებაზე ბევრად არის დამოკიდებული უხვი მოსავლის მიღება, კოლმეურნეობების მეურნეობრივად განმტკიცება და შრომადღის ღირებულების ზრდა.

საგაზაფხულო თესვის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ გასულ შემოდგომაზე დაიწყო. ბევრმა კოლმეურნეობამ თესლის გარჩევა, სასუქის მინდვრად გატანა, სასოფლო-სამეურნეო იარაღების რემონტი თავის ვადებში ჩაატარა.

სოფელ მულახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას დღეისათვის უკვე მზად აქვს საგაზაფხულო კულტურების კონდიციური თესლის საჭირო მარაგი, მინდვრად გატანილი აქვს ორგანული სასუქი. ამასთან მზადყოფნაში აქვს გუთნები და თესვისათვის სხვა საჭირო ინვენტარი.

სამზადისი სამუშაოები დამთავრებული აქვთ და საგაზაფხულო თესვას ყოველმხრივ მზად ხვდებიან აგრეთვე სოფელ მესტიის კალინინის, სოფელ კალის ვოროშილოვის სახელობის, სოფელ ლენჯერისა და რიგი სხვა კოლმეურნეობები.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში მოპოვებულ წარმატებებთან ერთად გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებებიც. ფაქტები მოწმობენ, რომ რიგი კოლმეურნეობები თესვისათვის სამზადის სამუშაოებს ზერელედ მოეკიდნენ და ამ საქმეში საგრძნობლად ჩამორჩებიან. ასე მაგალითად:

სოფელ ეცერის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა მხოლოდ ახლა შეუდგა საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას. სოფლების ჭუბერის, იდლიანისა და ფარის კოლმეურნეობები დღემდე არ არიან უზრუნველყოფილი კონდიციური თესლით.

რაიონის კოლმეურნეობებს ამა წლის 20 მარტისათვის მინდვრად სასუქის გატანის გეგმა შესრულებული აქვთ მხოლოდ 58 პროცენტით. ამ საქმეში განსაკუთრებით ცუდად მუშაობენ ფარის, ნაკის, ხაიშის, იდლიანის, ჭუბერისა და ეცერის კოლმეურნეობები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თესვისათვის მზადების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ჯერ კიდევ არასაკმაოდ იბრძვიან აღნიშნულ კოლმეურნეობათა გამგეობები და პარტიული ორგანიზაციები. მათ უნდა გაიგონ, რომ თესვის დაწყებამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად თუ ვერ გამოიყენეთ, თესვის მჭიდრო ვადებში და ხარისხოვნად ჩატარებაზე ზედმეტია ფიქრი. ამიტომ სამზადისი სამუშაოები იმდაგვარად უნდა მოვაწყოთ, რომ თოვლის აღებისთანავე დაუბრკოლებლად შეგვეძლოს თესვის დაწყება. ამისათვის საჭიროა ყველა კოლმეურნეობამ ამ თავითვე უზრუნველყოს კონდიციური თესლის საჭირო მარაგის შექმნა, მინდვრად სასუქის გატანის და სამუშაო იარაღების რემონტის დროულად ჩატარება, ამავე დროს საჭიროა განსაკუთრებული ყურადღებისა და მზრუნველობის ქვეშ ვიყოლიოთ მუშა-პირუტყვი.

საგაზაფხულო თესვისათვის სამზადის სამუშაოთა დასამთავრებლად უნდა დავრაზმოთ სოფლის მთელი მოსახლეობა, ამ ამოცანის შესასრულებლად იდგილებზე ფართოდ უ'და გავშალოთ მასიური მუშაობა. ამ საქმეში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ჩვენმა აგიტატორებმა უნდა შეასრულონ.

პარტიის ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის

25 თებერვალს დაამთავრა მუშაობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ. ყრილობის მთელი მუშაობა, აგრეთვე მისი გადაწყვეტილებანი გამსჭვალულია პარტიის დიდი ზრუნვით სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებით დასახულია ამოცანა: მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების, განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბაზაზე უზრუნველყოფილ იქნეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი ზრდა, განხორციელდეს სოფლის მეურნეობის წარმოების მკვეთრი აღმავლობა და ამის საფუძველზე მიღწეულ იქნეს საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

სახალხო მეურნეობის განვითარების საფუძველზე წლითიწლობით იზრდება ჩვენი ქვეყნის ეროვნული შემოსავალი, რომლის სამი მეოთხედი ხმარდება მშრომელთა პირადი საჭიროების დაკმაყოფილებას. მხოლოდ მეხუთე ხუთწლედის წლებში იგი გადიდდა 68 პროცენტით. ამასთან დაკავშირებით გადიდდა მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, კოლმეურნეთა შემოსავალი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სოფლის მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

სახელმწიფო გეგმებით გათვალისწინებულია, რომ კეთილდღეობის დონე სოფლად სულ უფრო უახლოვდებოდეს ქალაქში ცხოვრების დონეს. მეხუთე ხუთწლედში კოლმეურნეთა შემოსავალი გადიდდა 50 პროცენტით, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი-39 პროცენტით.

მაგრამ ხალხის საჭიროების დაკმაყოფილებაში ჩვენი პარტია იმას როდი ემყარება, რაც მიღწეულია წარსულში, არამედ უმთავრესად ხალხის მუდამ მზარდ მოთხოვნილებას. მეექვსე ხუთწლედის გეგმის შესახებ დირექტივებით გათვალისწინებულია კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავლის შემდგომი გადიდება საშუალოდ სულ ცოტა 40 პროცენტით, ხოლო მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასისა-საშუალოდ დაახლოებით 30 პროცენტით. პარტიის XX ყრილობამ დასახა საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების ფართო ღონისძიებანი. ამ ღონისძიებებს უწინარეს ყოვლისა ეკუთვნის მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში ყველა მუშისა და მოსამსახურისათვის 7 საათის სამუშაო დღის, ქვანახშირისა და სამთამადნო მრეწველობის წამყვანი პროფესიების იმ მუშებისათვის, რომლებიც მიწისქვეშა სამუშაოებს ასრულებენ, აგრეთვე მოზარდებისათვის 6 საათის სამუშაო დღის შემოღება ხელფასის შეუმცირებლად, სამუშაოდღის ორი საათით შემცირება შაბათობით და უქმეების წინა დღეებში. ხელფასი გაუიდდებათ მუშებისა და მოსამსახურეების იმ ჯგუფებს, რომელთაც დაბალი ხელფასი აქვთ. ხელფასის მოწესრიგებასა და სამუშაო დღის შემცირებასთან ერთად დასახულია გაუმჯობესდეს პენსიით უზრუნველყოფაც.

ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტლივ უმჯობესდება სახალხო განათლება და ჯანმრთელობის დაცვა. გასულ წელს მარტო რუსეთის ფედერაციაში დამატებით გაიხსნა 868 საშუალო სკოლა, ბევრი საავადმყოფო და სამშობიარო სახლი, სანატორიუმი, აგრეთვე საბავშვო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება. რუსეთის სსრ ქალაქებსა და მუშათა დაბებში საექსპლოატაციოდ გადაეცა 20 მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო სოფელ ადგილებში—330 ათასამდე საცხოვრებელი სახლი.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სახელმწიფოს სახსრებით აშენდეს ქალაქებში, მუშათა დაბებსა და სოფლებში დაახლოებით 205 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. ეს თითქმის ერთიორად მეტია, ვიდრე მეხუთე ხუთწლედში იყო აშენებული. ამავე დროს დასახულია ამოცანა — ფართოდ შეუწყონ ხელი მუშებს, მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს პირადი დანაზოგით და სახელმწიფო და საკოლმეურნეო კრედიტით საკუთარი სახლების მშენებლობაში. მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის საავადმყოფოების საწოლთა რაოდენობა 1955 წელთან შედარებით გადიდდება დაახლოებით 28 პროცენტით, ადგილების რაოდენობა საბავშვო ბაღებში-44 პროცენტით, საბავშვო ბაღებში-45 პროცენტით. უდიდესი მასშტაბით გაფართოვდება კინოფიკაცია და ტელევიზია.

დასახულია ამოცანა—ძირითადად განხორციელდეს საყოველთაო საშუალო განათლება როგორც ქალაქებში, ისე სოფელ ადგილებში. იმ მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების მიზნით, რომელთაც საშუალო განათლება არა აქვთ, გათვალისწინებულია გაფართოვდეს დაუსწრებელი და საღამოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი. ამ სკოლებში მშრომელთ შეუძლიათ ისწავლონ წარმოებას მოუწყვეტლივ. უკვე მომავალი სასწავლო წლიდან გაუქმდება სწავლის ქირა საშუალო სკოლების უფროს კლასებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელება შესაძლებელს გახდის ხუთწლედში სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი გადიდდეს დაახლოებით 60 პროცენტით. ხალხის ცხოვრების დონის განუწყვეტელი ამაღლება მეექვსე ხუთწლედში უზრუნველყოფს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ცალობრივი საქონელბრუნვის ზრდას დაახლოებით 50 პროცენტით. მნიშვნელოვნად გადიდდება სასურსათო და სამრეწველო საქონლის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე.

კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული მუშები, სოფლის მშრომელები და ჩვენი ინტელიგენცია სულ უფრო ფართოდ აჩაღებენ საყოველთაო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას 1956 წლის სახალხო სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გაფართოებისათვის.

ს. სოკოლოვი.

ხაიშის საშუალო სკოლაში

რამდენიმე საგნობრივი წრეა ჩამოყალიბებული ხაიშის საშუალო სკოლაში, რომლებიც ნაყოფიერად მუშაობენ მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებისათვის. მათ შორის გამოირჩევა გეოგრაფიის წრე, რომელსაც ამ საგნის მასწავლებელი ვ. რეხვიაშვილი ხელმძღვანელობს.

სასწავლო წლის დაწყებიდან წრეში ჩატარებულია 6 მოხსენება რუსეთისა და საქართველოს გამოჩენილი მოგზაურების, გეოგრაფიული მოვლენებისა და სხვა საკითხების შესახებ.

გარდა ამისა, წრის ძალებით 25 თებერვალს გაიმართა „გეოგრაფიული საღამო-თამაშობა“, წარმოდგენილ იქნა მონტაჟი—„ძველი და ახალი საქართველო“. მონტაჟი მიჰყავდა X კლასის მოსწავლე კ. ჭკადუას.

გეოგრაფიის წრის ნაყოფიერი მუშაობა მისაბაძი მაგალითია სხვა წრეებისათვის.

ზ. ძალდანი.

ჭარბიული ცხოვრება

საქმიანი აგიტატორი

მასწავლებელი გოგუცა კვიციანი-მესამე წელია, რაც აგიტატორად არის გამოყოფილი ბეჩოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის მეშვიდე ბრიგადაში. ამ ხნის განმავლობაში იგი პასუხისმგებლობით ეკიდება თავისი მოვალეობის შესრულებას. საფუძვლიანად ამზადებს საუბრებს. აგიტაცია ყოველთვის დაკავშირებულია საწარმოო დავალებათა შესრულების საკითხებთან, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მის საუბრებს. ნაყოფიერი აგიტაციის შედეგად ბრიგადა ერთ-ერთი მოწინავეთაგანია კოლმეურნეობაში.

კოლმეურნეები ამ დღეებში განსაკუთრებული ყურადღებით ეცნობიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს. ამ გადაწყვეტილებათა პასუხად ბრიგადაში ახალი ძალით გაჩაღდა მუშაობა, ბევრ დღეისათვის თითქმის დამთავრებული აქვს თესვისათვის წინასწარი სამზადისი სამუშაოები.

აღნიშნულ ბრიგადაში ბევრი მოწინავე კოლმეურნეა. ასეთებია მაშა არღვლიანი, ალლომე ცალანი, ანუთბე ფურსიძე და სხვები. თვითეული მათგანი ყოველდღიურ ნორმას 150—200 პროცენტით ასრულებს.

აგიტატორ მ. კვიციანის ღირსება ის არის, რომ ბრიგადა, სადაც იგი აგიტაციას ეწევა, ყოველწლიურად მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ახორციელებს საწარმოო გეგმებს ყველა სახეში და ახლაც მოწინავეთაგანი არის მინდვრის მიმდინარე სამუშაოებში.

გ. ფილფანი,
საკუთარი კორესპონდენტი.

როვენსკის ოლქი. დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ გოშჩანსკის რაიონის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეები პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს კოლმეურნეობათა ეკონომიური დაინტერესების ამაღლების შესახებ კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესების გაფართოებისათვის.

პარტიის მოწოდების პასუხად—უახლოეს ორ წელიწადში შეიქმნას კარტოფილისა და ბოსტნეულის სიუხვე, კოლმეურნეობაში გაიშალა საქმიანი მზადება კარტოფილის საგაზაფხულო რგვისათვის. აქ უკვე მთლიანად მომზადებულია და მინდვრადაა გატანილი სასუქები, დამთავრებულია სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტი. კარტოფილი დაირგება მთლიანად კვადრატულ—ბუდობრივი წესით მინერალური ნაერთის შეტანით ერთ ბუდნაზე 500 გრამის რაოდენობით. კოლმეურნეობაში კვირაში ორჯერ რიგულარულად ტარდება აგროტექნიკური მეცადინეობები კოლმეურნეობის აგრონომის ა. ა. კუხარის ხელმძღვანელობით.

სურათზე: კოლმეურნეობის აგრონომი ა. ა. კუხარი (წინა პლანზე) ატარებს პრაქტიკულ მეცადინეობას მეკარტოფილეებთან.

საკადესის ფოტოქრონიკა.

კლუბის ძალებით

16 მარტს ბეჩოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმაში ჩატარდა ავიტმხატვრული საღამო, რომელიც ამჯერად მოეწყო ბეჩოს სასოფლო კლუბის ძალებით.

მსმენელებს თენაზე „კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამწვავება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ“ ესაუბრა მასწავლებელი თ. კვიციანი.

მხატვრულ განყოფილებაში წარმოდგენილ იქნა მ. გოგიაშვილის სკეტჩი „ხალხს მშვიდობა უნდა“, ვ. კვიციანის, ნ. კვიციანის, გ. უშხვანის მონაწილეობით. შემდეგ შესრულებული იქნა ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები.

ნ. კვიციანი,
ბეჩოს სასოფლო კლუბის გამგე.

გულისხმიერი დამფარებელი

მესამე წელია, რაც ცხუმარის სასოფლო საბჭოში ფოსტის დამტარებლად მუშაობს კოლმეურნე ემუზა გერლიანი.

ე. გერლიანი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას. იგი ხელისმომწერლებს დაუგვიანებლივ აწვდის ახალ ჟურნალ-გაზეთებს და ამანათებს. არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ ვინმესთვის დაგვიანებით მიეტანოს გაზეთი ან წერილი.

ე. გერლიანის კარგი მუშაობით კმაყოფილი არიან ცხუმარის მშრომელები.

გ. არღვლიანი.

გაზეთ „კოლექტიური შრომის“ სტამბა

ტირაჟი 1000

რედაქტორი ს. მჟელლიანი